



ავტორის სტილი დაცულია

საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტი

იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების
პრობლემა სამოქალაქო სააღსრულებო წარმოებაში

დოქტორანტი **ნანა როსტომაშვილი**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **შალვა ქურდაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი	3
თავი 1. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების იურიდიული ბუნება 17	
1.1. ისტორიული კონტექსტი და ფორმირება.....	17
1.2. იძულებითი აღსრულების ცნება და იურიდიული ბუნება.....	18
1.3. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების საკანონმდებლო მოწესრიგება	19
1.4. იძულებითი აღსრულების ღონისძიების განსხვავება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან	20
1.5. იძულებითი აღსრულების ღონისძიების განსხვავება სააღსრულებო მოქმედებისგან	21
თავი 2. იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენების საფუძველი 22	
2.1.1. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი	23
2.2. სააღსრულებო წარმოების მხარის უფლების დაცვა იძულებითი აღსრულების პროცესში.....	24
2.3. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების მხოლოდ საკანონმდებლო წესით მოწესრიგება	25
2.4. იძულებითი აღსრულების ღონისძიების და აღსასრულებელი მოთხოვნის თანაზომადობა.....	26
თავი 3. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების სახეები	27
3.1. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების სახეებად დაყოფის პრაქტიკული მნიშვნელობა	27
3.2. იძულებითი აღსრულების ირიბი ღონისძიებების არსი და მოწესრიგება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში	28
3.3. იძულებითი აღსრულების პირდაპირი ღონისძიებები: პრაქტიკაში მათი გამოყენების პრობლემები და გამოწვევები	30
3.4. სექვესტრი როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი მექანიზმი	31
დასკვნა	32
ბიბლიოგრაფია	38

შესავალი

იძულებითი აღსრულების სისტემა წარმოადგენს მართლმსაჯულების ეფექტიანობის მნიშვნელოვანეს კომპონენტს და სამართლის უზენაესობის რეალიზების პრაქტიკულ გამოხატულებას. სასამართლო და სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკული იმპლემენტაცია განაპირობებს სამართლებრივი სისტემის მიმართ ნდობის ხარისხს და უზრუნველყოფს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების სტაბილურობას. აღსრულების მექანიზმების ეფექტურობა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სახელმწიფოს შესაძლებლობას, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და დაიცვას პირთა ლეგიტიმური უფლებები.

თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში იძულებითი აღსრულების პრობლემატიკა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. კვლევითი ინტერესის გაძლიერება განპირობებულია იმ მრავალფეროვანი გამოწვევებით, რომლებიც თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში იკვეთება. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღსრულების პროცესის არაეფექტიანობა კომპლექსური პრობლემაა, რომელიც განპირობებულია მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ხშირად ზღუდავს მოვალეთა შესაძლებლობას, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. არანაკლებ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს კრედიტორისა და მოვალის ლეგიტიმური ინტერესების დაბალანსებულ დაცვას. სამეცნიერო დისკურსის ანალიზი წარმოაჩენს ფუნდამენტურ პრობლემას, ეროვნულ კანონმდებლობაში არასათანადოდაა კონცეპტუალიზებული თავად იძულებითი აღსრულების მოდელი და მისი მარეგულირებელი მექანიზმები.

დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დაცვის პროცესი არ სრულდება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანით. კრედიტორი, სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, უფლებამოსილია მიმართოს იძულებითი აღსრულების ზომებს.

იძულებითი აღსრულების სათანადო პროცედურის გარანტიები ინტეგრირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებაში, რომელიც განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით.

სასამართლო აქტების აღსრულება აუცილებელ პირობად მიიჩნევა როგორც საქართველოს, ასევე ევროპულ სამართლებრივ სივრცეში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში არ მოიპოვება ცალსახა დებულება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღიარა, რომ აღსრულების უფლება კონვენციის მე-6 მუხლით დაცული „სამართლიანი სასამართლო პროცესის“ ორგანული და განუყოფელი ნაწილია.

კერძოდ, თუ სახელმწიფო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების პრაქტიკულ აღსრულებას, მაშინ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს იძენს. ამასთან, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, აღსრულების დაგვიანება მისაღებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუმცა ასეთი დაგვიანება არ უნდა ხელყოფდეს აღნიშნული ძირითადი უფლების არსს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მრავალჯერ არის ხაზგასმული, რომ სასამართლო აქტის აღსრულებლობა ჩაითვლება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად, ვინაიდან იგი არღვევს უფლებათა დაცვის ეფექტურობის ფუნდამენტურ პრინციპს.

იძულებითი აღსრულების ინსტიტუტი წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ ნაწილს. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის განხილვისას აუცილებელია გავაანალიზოთ არა მხოლოდ ნორმატიული ბაზის სრულყოფილება, არამედ იმ მექანიზმების ეფექტიანობაც, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ნორმების პრაქტიკულ რეალიზაციას.

სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან კერძო სუბიექტებს შორის შეთანხმებული ვალდებულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს რეალურ იურიდიულ ძალას, თუ არსებობს მათი იძულებითი აღსრულების ქმედითი მექანიზმები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმატიული აქტები და სახელშეკრულებო ვალდებულებები კარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას და რჩება მხოლოდ ფორმალური, დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტებად. ამგვარ პირობებში შეუძლებელი ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სათანადო დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღსრულების სისტემის მნიშვნელობა სცდება წმინდა სამართლებრივ ჩარჩოებს და არსებით გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროზე. სააღსრულებო წარმოების ეფექტიანობის დონე პირდაპირპროპორციულად აისახება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების განხორციელების ხარისხზე. ამასთან, იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებადობასა და სტაბილურობას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობასა და ეკონომიკური აქტივობის დონეს.

ემპირიული მონაცემების ანალიზი ადასტურებს სააღსრულებო მექანიზმების ფუნდამენტურ მნიშვნელობას. სტატისტიკური კვლევები ცხადყოფს, რომ არსებობს მჭიდრო კორელაცია აღსრულების პროცედურების ეფექტიანობასა და საზოგადოების ნდობას შორის სასამართლო სისტემისა და სახელმწიფო იძულებითი აღსრულების ინსტიტუტების მიმართ. რაც უფრო ეფექტიანად და პროპორციულად ფუნქციონირებს აღსრულების მექანიზმი, მით უფრო მაღალია საზოგადოების ნდობა სამართლებრივი სისტემის მიმართ და პირიქით.

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება აღსრულების სხვადასხვა დეფინიცია, თუმცა მათი უმეტესობა ხაზს უსვამს ამ ინსტიტუტის მთავარ მიზანს - უზრუნველყოს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სხვა აღსასრულებელი დოკუმენტების რეალური აღსრულება. სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს არა მხოლოდ იძულების მექანიზმს, არამედ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს მასში მონაწილე პირთა უფლებების რეალიზაციასა და კანონიერი ინტერესების დაცვას. კრედიტორთა უფლებრივი პოზიციების გაძლიერებაზე ფოკუსირებული ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენებისას,

მნიშვნელოვანია მოვალისა და სხვა ჩართული მხარეების კონსტიტუციური უფლებების დაბალანსება, რისი აუცილებლობაც ევროპის საბჭოს დამატებით რეკომენდაციებშიც იქნა ხაზგასმული.

აღსრულების ინსტიტუტის ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენს ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსა და სამართლის ევოლუციასთან. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში აღსრულების მექანიზმები განსხვავებული ფორმით არსებობდა, თუმცა მათი ძირითადი მიზანი - კანონით დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაცია - უცვლელი რჩებოდა. ამდენად, უფლებათა დაცვის სამართლებრივი არქიტექტურა დაფუძნებულია როგორც ეროვნული კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოწყობის, ისე საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტთა ნორმატიული რეგულაციების სინთეზზე. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის იურიდიული ამოქმედებით სახელმწიფომ ფორმალურად ცნო საერთაშორისო სამართლის უპირატესობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში, რაც გულისხმობდა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული კანონზომიერებების საქართველოს იურიდიულ სივრცეში უშუალოდ გამოყენებადი სამართლის იერარქიულ განთავსებას.

კონსტიტუციის 31-ე მუხლით დეკლარირებული უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის გარანტია ილუზორულ და არაეფექტიან მექანიზმად იქცევა, ვინაიდან პირის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი არ რეალიზდება დროულად და სრულყოფილად. სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, თავის მხრივ, წარმოადგენს არსებით კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემას და საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების, როგორც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის, სრულფასოვან ფუნქციონირებას.

გამომდინარე აქედან, სააღსრულებო სამართალი წარმოადგენს კომპლექსურ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც აერთიანებს სამოქალაქო, სამოქალაქო საპროცესო, საგადასახადო, საბიუჯეტო, ადმინისტრაციული სამართლისა და სხვა დარგების ნორმებს. შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების მარეგულირებელი ნორმატიული

ბაზა არ შემოიფარგლება მხოლოდ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტი მისი ამოქმედების შემდგომ მრავალჯერ გახდა ცვლილებებისა და დამატებების ობიექტი. უდავოა, რომ ნორმატიული სრულყოფილება იდეალურ მიზანს წარმოადგენს, თუმცა პრინციპული მნიშვნელობისაა, რომ სააღსრულებო წარმოების რეფორმირების ნებისმიერი მცდელობა მიმართული იყოს ეფექტიანობის გაზრდისკენ, ხოლო პროცედურული რეგულაციები გამოირჩეოდეს გამჭვირვალობითა და სიცხადით.

იძულებითი აღსრულების არსი მდგომარეობს მოვალის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებაში. შესაბამისად, ეს ღონისძიებები წარმოადგენენ იძულებითი აღსრულების ფუნდამენტურ ელემენტს, თუმცა, სამწუხაროდ, ნორმატიულ დონეზე აღნიშნული ინსტიტუტი არასრულყოფილადაა მოწესრიგებული. საქართველოს სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი ნორმატიული ჩარჩო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს იძულებითი აღსრულების პროცესის მკაფიო და სრულყოფილ სტრუქტურირებას.

მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ იძულებითი აღსრულების სისტემაში ვერ განიცადა რეფორმა მისი შინაარსობრივი საფუძვლების დონეზე, ანუ, არ ჩამოყალიბებულა მოქმედი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში ისეთი მიდგომა, რომელიც აერთიანებს მექანიზმების ეფექტიანობას, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებსა და პირის უფლებათა რეალურ აღდგენას. დღესაც პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება ფორმალურად აღსრულებულია, მაგრამ მისი შინაარსობრივი მიზანი - დარღვეული უფლებების აღმოფხვრა - არ მიღწეულა.

სამართლებრივი სახელმწიფოების ერთ-ერთი საყრდენი პრინციპი არის კანონის სიზუსტის (ლათ. *lex certa*) მოთხოვნა, რაც გულისხმობს, რომ სამართლებრივი ნორმა უნდა იყოს მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი და ადვილად გასაგები. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იძულებით აღსრულების სამართალში, რადგან აღსრულება უშუალოდ ეხება პირის ქონებრივ მდგომარეობასა და ზოგჯერ სხვა ფუნდამენტურ უფლებებს.

აღსრულება ძირითადად ფოკუსირებულია ფულადი ვალდებულებების იძულებითი აღსრულების განხორციელებაზე. ამ კატეგორიის საქმეებზე სახელმწიფო იძულების მექანიზმი კვლავაც ორიენტირებულია ისეთ ტრადიციულ ინსტრუმენტზე, როგორიცაა მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა. შედარებითი ანალიზი კი აჩვენებს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმატებით გამოიყენება იძულებითი აღსრულების "არაპირდაპირი" ღონისძიებები.

ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სასამართლო და სხვა იძულებით აღსრულებადი აქტების აღსრულების მექანიზმის გამართულობა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შინაარსობრივი შედეგის რეალურ მიღწევას, ხოლო მეორე მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს ვალდებული პირის მხრიდან სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობისთვის სამართლებრივად არახელსაყრელი შედეგების დადგომას.

შესაბამისად, იძულებითი აღსრულებისა და სააღსრულებო წარმოების ეფექტიანი სისტემა წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელ ელემენტს, რომელიც სასამართლო აღსრულების ინსტიტუტის მეშვეობით უზრუნველყოფს სამართლებრივ უსაფრთხოებას.

აღნიშნული იდეის კონცეპტუალურ მნიშვნელობას ხაზს უსვამს საერთაშორისო პრაქტიკაც. როგორც 2006 წელს მე-19 მსოფლიო კონგრესზე საერთაშორისო სასამართლო აღმასრულებელთა კავშირის პრეზიდენტმა, ჟაკ ისნარმა, აღნიშნა: „სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია კანონების გარეშე, კანონების – მოსამართლის გარეშე, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების – აღსრულების გარეშე.“

ეს განცხადება ხაზგასმით მიუთითებს იმ აზრზე, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ ამოწურავს თავის ფუნქციას მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებით, რეალური აღსრულება და მისი შედეგის დადგომა სწორედ ის ეტაპია, სადაც სასამართლო უფლებამოსილება გადადის აღმასრულებელ ფაზაში და სრულდება სამართლის პრაქტიკული მოქმედება.

ამრიგად, იძულებითი აღსრულების მექანიზმის ეფექტიანობა წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ინსტიტუციური და სისტემური მნიშვნელობის საკითხს, რომლის გამართულობა

განაპირობებს არა მხოლოდ კერძო ინტერესების რეალიზაციას, არამედ მთლიანად სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

შესაბამისად, დღესდღეობით, როდესაც მზარდია მოთხოვნა მართლმსაჯულების რეალურ შედეგებზე, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იძულებითი აღსრულების პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, მათი სამართლებრივი ანალიზი და ფუნქციურად გამართული მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

კვლევის აქტუალობა და სიახლე - სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს იძულებითი აღსრულების მექანიზმის ეფექტიანად განხორციელება. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი პასუხისმგებლობის გააზრების აუცილებლობას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს აღსრულების წარმოების მექანიზმში მისი როლის მნიშვნელობის გააზრებას.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სამართლებრივი სისტემის განვითარება და მისი ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან წარმოადგენს სახელმწიფოს პრიორიტეტს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი.

სამეცნიერო ნაშრომები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მართლმსაჯულების განვითარების პროცესში. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების პრობლემა სამოქალაქო სააღსრულებო წარმოებაში წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ამ საკითხის მეცნიერულმა კვლევამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც კანონმდებლობის გაუმჯობესება ან რეფორმების განხორციელება, მით უფრო მაშინ, როდესაც იძულებითი აღსრულების საკითხი ყოველთვის იყო და დიდი ალბათობით, დარჩება სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერების უმაღლეს პრიორიტეტულ სფეროებში.

იძულებითი აღსრულების პროცესი, როგორც ნორმატიულ, ისე დოქტრინულ დონეზე, ცვლილებებს მოითხოვს, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში იძულებითი აღსრულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად და პრაქტიკულად დატვირთულ მიმართულებას. მიუხედავად ამ

მნიშვნელობისა, ქართულ სამართლებრივ მეცნიერებაში იძულებითი აღსრულების საკითხები დღემდე ნაკლებად არის მონოგრაფიულად გაანალიზებული. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

გარდა აღნიშნულისა, სააღსრულებო ორგანოებსა და სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთიანი მიდგომა ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა თანაზომიერების პრინციპის დაცვა იძულებითი აღსრულებისას, განსაკუთრებით აუქციონის გზით ქონების იძულებით რეალიზაციის პროცესში. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემებია სეკვესტრის, ქონების დროებითი მართვის რეგულირების თვალსაზრისით. არ არის სრულყოფილად განსაზღვრული ქონების იძულებითი მართვის – სეკვესტრის, აღსრულების ირიბი ღონისძიებების მოსაწესრიგებელი ნორმები.

ასევე, არასრულყოფილია კანონმდებლობა მოვალის შემოსავლებზე გადახდეცილების ნაწილში, სადაც არ არის განსაზღვრული „შემოსავლის“ ცნება სააღსრულებო მიზნებისათვის. მოქმედი კანონმდებლობით არ არის ასევე განსაზღვრული იურიდიული პირების ქონებრივი იმუნიტეტის დამდგენი ნორმები.

როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვნად რჩება ხარვეზი იმასთან დაკავშირებითაც, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შემოსავლის ცნების ცალსახა განმარტებას სააღსრულებო მიზნებისთვის.

ამასთან, აღსრულების პროცესში კრედიტორისა და მოვალის უფლებათა ბალანსის დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ გამოწვევას, რაც ასევე განაპირობებს საკითხის აქტუალურობას. მიუხედავად თემის მნიშვნელობისა, არასაკმარისად არის შესწავლილი აღსრულების საფასურის ოდენობის საკითხი. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, აღსრულების საფასური შეადგენს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს, რაც საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლოა კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემებს წარმოშობდეს. მაგალითად, ესტონეთისა და რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოებმა მსგავსი ოდენობის მოსაკრებლები შეაფასეს, როგორც არათანაზომიერი შეზღუდვა და არაკონსტიტუციურად ცნეს ისინი."

ასევე აუცილებელია იძულებითი მართვის - სეკვესტრის ინსტიტუტის სრულყოფა. ვინაიდან სეკვესტრის ინსტიტუტის სამართლებრივი

სრულყოფა წარმოადგენს სააღსრულებო სამართლის განვითარების მნიშვნელოვან ამოცანას, განსაკუთრებით აქტუალურია აღსრულების ირიბი ღონისძიებების მექანიზმების გაფართოება, რომლებიც ორიენტირებულია არა მხოლოდ პირდაპირი იძულების განხორციელებაზე, არამედ მოვალის მოტივირებაზე, ნებაყოფლობით შეასრულოს სამართლებრივი ვალდებულებები.

აღსრულების ფაქტობრივი ეფექტურობის დაბალი მაჩვენებლები განაპირობებს ახალი იძულებითი მექანიზმების დანერგვის აუცილებლობას, რაც თანაზომიერების პრინციპის დაცვის პირობებში უნდა ხორციელდებოდეს - ეს უკანასკნელი კი გარანტიას უქმნის მათ სამართლებრივ ლეგიტიმურობასა და პრაქტიკულ ეფექტურობას.

აღნიშნული პრობლემების გამოკვლევით, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების წარმოჩენით, სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზით, ამ კვლევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიწვიოს. იგი ხელს შეუწყობს როგორც სამოქალაქო საპროცესო, ასევე სააღსრულებო კანონმდებლობის გაუმჯობესებასა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

კვლევის მიზანი - დისერტაციის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ანალიზი. კვლევა მიზნად ისახავს იმ სამართლებრივი დანაწესების ეფექტიანობისა და არსის განსაზღვრას, რომლებიც იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების პირობებს აწესრიგებს.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, კვლევა ითვალისწინებს შემდეგ ამოცანებს:

1. იძულებითი აღსრულების სამართლებრივი ბუნებისა და იძულებითი აღსრულების სისტემის ფუნქციონირების პრინციპების გადახედვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და პრაქტიკის საფუძველზე;
2. იმ მექანიზმების იდენტიფიცირება, რომლებიც იძლევა სააღსრულებო ორგანოს მიერ მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების საშუალებას სააღსრულებო წარმოების ფარგლებში;

3. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ინსტიტუტის გავლენის ანალიზი სააღსრულებო წარმოების მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე;
4. იძულებითი სააღსრულებო წარმოების ეფექტიანობის შეფასება იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების კონტექსტში და არსებული ხარვეზების გამოვლენა;
5. საერთაშორისო და უცხოური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით;
6. სამოქალაქო საპროცესო და სააღსრულებო სამართლის განვითარების თვალსაზრისით, იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ბუნების თეორიულად და პრაქტიკულად გააზრება, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალე, სამართლიან და ეფექტიან სააღსრულებო სისტემას.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ინსტიტუტის გამიჯვნა სხვა სახის იძულებითი საშუალებებისაგან, მათ შორის აუცილებელია პირდაპირი და ირიბი იძულების ღონისძიებების გამიჯვნა, ეს გამიჯვნა აუცილებელია იმ მიზნის მისაღწევად, რომ სააღსრულებო ორგანოების მოქმედება მოექცეს სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში და არ გასცდეს დასაშვებ კანონიერ ზღვარს.

აღნიშნული საკითხების ანალიზი უნდა განხორციელდეს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და დოქტრინალური წყაროების საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა პროპორციულობის პრინციპი, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი და ნებაყოფლობითი აღსრულების პრიორიტეტულობა, რომლებიც წარმოადგენს როგორც საკანონმდებლო რეგულირების, ისე სააღსრულებო ორგანოების პრაქტიკული საქმიანობას.

ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სააღსრულებო წარმოების პროცესის სამართლებრივი მოწესრიგების გაუმჯობესებას, არამედ ზოგადად უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების რეალიზებას, რაც თავის მხრივ,

განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების ეფექტიანობას და საზოგადოების ნდობას სამართლებრივი მექანიზმების მიმართ.

სააღსრულებო წარმოების სამართლებრივი ურთიერთობების საკითხი წარმოშობს მნიშვნელოვან მეცნიერულ და პრაქტიკულ გამოწვევებს, რომელთა გადაჭრაც საჭიროებს დამატებით ყურადღებას და გამჭვირვალობას ამ სფეროში. შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სუბიექტთა, უპირატესად კი მოვალის კონსტიტუციური უფლებები სრულყოფილად იქნება დაცული. თუ დაიშვება ცვლილებები სამოქალაქო და სააღსრულებო კანონმდებლობაში, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ: თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის იმპლემენტაციას, ქონების იძულებითი მართვის – სეკვესტრის და ირიბი ღონისძიებების დეტალიზებულ და კომპლექსურ მარეგულირებელ მექანიზმებს და მოვალის შემოსავლებზე იძულებითი გადახდევინების სამართლებრივი ჩარჩოების ოპტიმიზაციას.

პრობლემების გამოკვლევით, კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების წარმოჩენით, სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზით, ამ კვლევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიწვიოს. იგი ხელს შეუწყობს როგორც სამოქალაქო საპროცესო, ასევე სააღსრულებო კანონმდებლობის გამაუმჯობესებას და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციასა და სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებას.

დისერტაციის კვლევა შეეხება იძულებითი აღსრულების პრინციპებს, ძირითად ინსტიტუტებს და მათ როლს, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე სამართლებრივ სისტემაში. ასევე, განხილულია იძულებითი აღსრულების წარმოების პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მის ეფექტურობას და სამართლებრივი სისტემის მექანიზმების განვითარებას, მათთვის დამახასიათებელი სამართლებრივი ბუნების, სტრუქტურისა და სპეციფიკის ანალიზს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოა იმ სამართლებრივი კონსტრუქციების შეფასებას, რომლითაც დღეს ფუნქციონირებს აღნიშნული სფერო. კვლევის ფარგლებში მოხდება არსებული მოდელების ეფექტიანობის ანალიზი და შემუშავდება მიზნობრივი

რეკომენდაციები მოქმედი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით, რათა იძულებითი აღსრულების მექანიზმები კიდევ უფრო სათანადოდ პასუხობდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებსა და მართლმსაჯულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანებს.

სამართლებრივი დაცვის პროცესი, რომელიც იწყება სასამართლოს მიერ დარღვეული ან შეზღუდული უფლების აღიარებით, არ მთავრდება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებით. იურიდიული რეალობა ცხადყოფს, რომ ასობით და ათასობით კრედიტორი, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც კი, იძულებულნი არიან მოითხოვონ მისი ფაქტობრივი აღსრულება იძულებითი აღსრულების მეშვეობით. ეს პროცესი კი, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოს ძალაუფლების ჩართულობას ვალდებულებების რეალური შესრულების უზრუნველსაყოფად.

იძულებითი აღსრულების მექანიზმები არ უნდა განიმარტოს მხოლოდ როგორც ფორმალური იურიდიული ინსტრუმენტი, არამედ იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების განუყოფელ ნაწილს, რომლის ეფექტიანობა განსაზღვრავს სასამართლო დაცვის უფლების რეალურ განხორციელებას. ამ კონტექსტში, უმნიშვნელოვანესია, რომ აღსრულების პროცედურები შესაბამისობაში იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლების პრინციპთან, რომელიც გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით.

კვლევის მნიშვნელობა - დისერტაცია ეძღვნება იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების პრობლემას სამოქალაქო სააღსრულებო წარმოებაში. ეს არის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სისტემურად იკვლევს იძულებითი სააღსრულებო წარმოების მექანიზმს და განიხილავს ამ ინსტიტუტის განვითარების მიმართულებებს, როლს აღსრულების მექანიზმში, როგორც მისი პროცედურული, ისე არსებითი სამართლებრივი მხარეებით.

ამასთან, ნაშრომი ასაბუთებს და ახდენს მოვალის მიმართ იძულებითი ღონისძიებების კლასიფიკაციასა და დიფერენცირებას, რაც დამოკიდებულია თითოეული ღონისძიების მიზანზე სამართლებრივ სისტემაში.

იძულებითი აღსრულების საკითხების სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიური ინტერესის საგანს, არამედ ემსახურება არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის არსებითი ხარვეზების იდენტიფიკაციასა და მათი აღმოფხვრის მეცნიერულად დასაბუთებული გზების შემუშავებას. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს, განიხილოს და შეაფასოს იძულებითი აღსრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემები, რითაც შეიქმნება თეორიული ბაზა სამოქალაქო საპროცესო და სააღსრულებო კანონმდებლობის ცალკეული ნორმების ახალი ინტერპრეტაციისა და პრაქტიკაში მათი მიზნობრივი გამოყენებისთვის.

კვლევა ეფუძნება არა მხოლოდ ქართული კანონმდებლობისა და სამართლებრივი დოქტრინის ანალიზს, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასაც, რაც იძლევა საკითხის ინტეგრირებულად გააზრების შესაძლებლობას. ამ გზით, კვლევა ხელს უწყობს როგორც სამართლის თეორიული განვითარების გაღრმავებას, ისე სასამართლო პრაქტიკის გამართულ და თანმიმდევრულ განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემის გაძლიერებას და მოქალაქეთა ინტერესების ეფექტიან დაცვას.

კვლევის მეთოდები - კვლევის მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს სამართლის მეცნიერებისათვის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების ერთობლივი გამოყენება, რაც მიზნად ისახავს იძულებითი აღსრულების ღონისძიებების, მათი რეგულირების მექანიზმებისა და სამართლებრივი ეფექტიანობის კომპლექსურ ანალიზს. კვლევაში ინტეგრირებულია ანალიზისა და სინთეზის, ლოგიკურ-დედუქციური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით შედეგების სიღრმისეულად დასაბუთებას.

ანალიზისა და სინთეზის მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, დოქტრინალური წყაროებისა და სასამართლო პრაქტიკის დეტალურ განხილვას. აღნიშნული მეთოდის ფარგლებში შეფასდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებების სამართლებრივი ბუნება, მათი მიზნობრიობა, ფუნქციური დატვირთვა და პრაქტიკაში გამოყენების შედეგები. მიღებული დასკვნები, თავის მხრივ, სინთეზის საფუძველზე

იქნა დაკავშირებული საერთო კონცეპტუალურ სქემასთან, რაც ხელს უწყობს ინტეგრირებული რეკომენდაციების შემუშავებას.

ლოგიკურ-დედუქციურმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების, არამედ მათი მოქმედების მექანიზმების გაანალიზება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია იძულებითი აღსრულების ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენების კუთხით.

შედარებით-სამართლებრივი მეთოდი გამოყენებულ იქნა სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო ჩარჩოებისა და პრაქტიკის შესწავლის მიზნით, რაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული სამართლებრივი მოდელის იდენტიფიცირებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით მისი თავსებადობის შესაფასებლად. კვლევაში გათვალისწინებული იქნა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების იძულებითი აღსრულების რეგულირების პრაქტიკა და დოქტრინალური კონცეფციები, რაც საფუძვლად დაედო საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ნორმების შეფასებასა და მისი დახვეწის რეკომენდაციებს.

კვლევის შედეგები - კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა არაერთი პრობლემა, რომლებიც სრულად არ არის შესწავლილი საქართველოს იურიდიულ მეცნიერებაში, განსაკუთრებით იძულებითი აღსრულების სფეროში. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელების პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ აღნიშნულ პროცესებზე. კვლევითი პროცესის შედეგად გამოკვეთილი პრობლემური ასპექტების ანალიზზე დაყრდნობით, ფორმულირდა მეცნიერულად გამყარებული რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას საქართველოს სააღსრულებო კანონმდებლობაში. ამ ცვლილებების მიზანია იძულებითი აღსრულების ინსტიტუტის შემდგომი განვითარება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება, რამაც შეიძლება განაპირობოს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის შემუშავება და ამ პროცესის სამართლებრივი სტანდარტების გატარება. აღნიშნული ინიციატივები ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებასა და თანაზომიერების დაცვას.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლისგან, 3 თავისგან, 14 ქვეთავისგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომის არსებითი ნაწილის მოცულობა შეადგენს 177 გვერდს.

თავი 1. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების იურიდიული ბუნება

1.1. ისტორიული კონტექსტი და ფორმირება

იძულებითი აღსრულების ისტორიული განვითარება მჭიდროდ უკავშირდება სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი სისტემების ჩამოყალიბებას. თავდაპირველად, ინდივიდები თავად ახორციელებდნენ საკუთარი უფლებების დაცვას, თუმცა სამართლებრივი ევოლუციის შედეგად იძულებითი აღსრულების უფლება სახელმწიფოს ექსკლუზიურ კომპეტენციად იქცა. ძველ ქართულ სამართალში იძულებითი აღსრულება უკვე ადრეულ ფეოდალურ ეპოქაში იყო ცნობილი და ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით ხორციელდებოდა.

რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში აღსრულების სისტემა იმპერიულ მოდელს დაექვემდებარდა და შემოღებულ იქნა ცენტრალიზებული სტრუქტურები. საბჭოთა პერიოდში კი იძულებითი აღსრულება სრულად სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ მოექცა და მისი ფუნქცია სამართლებრივი მიზნებიდან ძირითადად პოლიტიკურ მიზნებზე გადავიდა.

თანამედროვე საქართველოში ეს ინსტიტუტი ფუნქციონირებს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალას.

ისტორიული განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ იძულებითი აღსრულება სახელმწიფოს ლეგიტიმური ძალაუფლების გამოხატულებას

და წარმოადგენს სამართლებრივი ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბირთვს.

1.2. იძულებითი აღსრულების ცნება და იურიდიული ზუნება

იძულებითი აღსრულების სამართლებრივი კატეგორიის დოქტრინალური ანალიზისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს ერთგვარ "ხიდს" მატერიალურ და პროცესუალურ სამართალს შორის. იგი უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, მატერიალური სამართლის ნორმებით დადგენილი უფლებამოვალეობების რეალიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, სააღსრულებო წარმოების პროცესუალური ნორმების მეშვეობით, განსაზღვრავს იმ აუცილებელ პროცედურებს, რომელთა დაცვითაც უნდა განხორციელდეს სასამართლო თუ სხვა აღსრულებადი დოკუმენტების ცხოვრებაში გატარება.

იძულებითი აღსრულების ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი წარმოადგენს კომპლექსურ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების რეალურ აღსრულებას და, შესაბამისად, სამართლებრივი წესრიგის ეფექტიან დაცვას.

იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, როგორც ამ მექანიზმის განუყოფელი ნაწილი, წარმოადგენს სამართლებრივად რეგლამენტირებულ პროცესუალურ მოქმედებებს, რომლებიც ემსახურება უფლებების დაცვისა და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას. ამასთან, ეს ღონისძიებები იყენებს სახელმწიფო იძულების ლეგიტიმურ ფორმებს, რომლებიც მკაცრად არის შემოფარგლული კანონმდებლობით და ეფუძნება ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებს.

1.3. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების საკანონმდებლო მოწესრიგება

იძულებითი აღსრულება, როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მოვალის მიმართ იძულებითი ძალის გამოყენების მექანიზმს, რომელიც ძირითადად ხორციელდება მისი ქონებრივი უფლებების, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში - არაქონებრივი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის გზით.

ეს პროცესი, თავისი არსით, წარმოადგენს პირის უფლებებში ინტენსიური ხასიათის ჩარევას, რომელიც, მიუხედავად ამისა, მხოლოდ მაშინ არის მართლზომიერი, როდესაც იგი ეფუძნება კანონიერ ძალაში შესულ იურიდიულ აქტს (მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილებას ან განჩინებას). სწორედ ასეთი იურიდიული აქტის საფუძველზე გაიცემა კანონით გათვალისწინებული სააღსრულებო დოკუმენტი – სააღსრულებო ფურცელი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმურად განხორციელებული იძულების სამართლებრივ საფუძველს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოქმედი რედაქცია ვერ უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და სამართლიან მიდგომას აღსრულების პროცესში და ქმნის სირთულეებს როგორც მოვალეთათვის, ისე აღმასრულებლებისათვის.

შესაბამისად, იძულებითი აღსრულების სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის, ეფექტიანობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის ბალანსს. ამ პრინციპების რეალიზაცია მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც ნორმატიულ, ისე ინსტიტუციურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს. მხოლოდ ამგვარი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს იძულებითი აღსრულების ისეთი მოდელის ჩამოყალიბებას, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს და პასუხობს 21-ე საუკუნის გამოწვევებს.

1.4. იძულებითი აღსრულების ღონისძიების განსხვავება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან

სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემაში ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა მოითხოვს როგორც დროულ, ისე რეალურად აღსრულებად გადაწყვეტილებებს. ამ კონტექსტში ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი – სარჩელის უზრუნველყოფა და იძულებითი აღსრულება – წარმოადგენს განსხვავებულ სამართლებრივ მექანიზმებს, რომელთაც აქვთ თავიანთი სპეციფიკური ფუნქციური დატვირთვა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. სარჩელის უზრუნველყოფა და იძულებითი აღსრულება ორი განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელთა მიზნები და გამოყენების პრინციპები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გამოიყენება სამართლებრივი დაცვის გადაწყვეტისა და აღსრულების პროცესში. მათი ფუნდამენტური განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიმართულია სამომავლო სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად, ხოლო იძულებითი აღსრულება უკვე არსებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების რეალიზაციას ემსახურება.

სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს მიერ მიღებულ პროცესუალურ ღონისძიებას, რომლის მიზანია მოსარჩელის მოთხოვნის შესრულების რეალური შესაძლებლობის დაცვა იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს. განსხვავებით სარჩელის უზრუნველყოფისგან, იძულებითი აღსრულება წარმოადგენს სახელმწიფო იძულების მექანიზმს, რომელიც გამოიყენება უკვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების რეალიზაციისთვის.

მნიშვნელოვანია მათი მკაფიო გამოჯვანა და სწორი გამოყენება, ვინაიდან იგი პირდაპირ უკავშირდება მოქალაქეთა უფლებების ეფექტიან დაცვას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზაციას. კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, თანამედროვე ქართული სამართლებრივი სისტემა საჭიროებს სისტემურ მდგომარეობას ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთმიმართების რეგულირების თვალსაზრისით, რადგან მხოლოდ მათი ჰარმონიული ფუნქციონირებით

იქნება უზრუნველყოფილი ეფექტიანი მართლმსაჯულება, რომელიც ერთნაირად იცავს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის კანონიერ ინტერესებს და ემსახურება სამართლიანი, ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიზნებს.

1.5. იძულებითი აღსრულების ღონისძიების განსხვავება სააღსრულებო მოქმედებისგან

იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და სააღსრულებო მოქმედებები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, თუმცა სამართლებრივი ბუნებით განსხვავებული მექანიზმებია, რომლებიც სამოქალაქო სააღსრულებო სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

„იძულებითი აღსრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი აწესებს სააღსრულებო მოქმედებების ნუსხას, რაც ქმნის პრაქტიკულ ბაზისს აღმასრულებლისთვის. ამავე დროს, კანონის იგივე მუხლი განსაზღვრავს იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, რაც სხვა ტიპის სამართლებრივ რეალობას გვთავაზობს. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, კანონის მე-17 მუხლში არ ხდება სააღსრულებო მოქმედებებსა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს შორის მკაფიო დიფერენცირება, რაც იწვევს პრაქტიკის არაერთგვაროვნებას და აღსრულების პროცესის ფორმალიზაციას.

კვლევამ გამოავლინა, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განსხვავება სააღსრულებო მოქმედებისგან უშუალოდ უკავშირდება საკონსტიტუციო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხს. იძულებითი ღონისძიებები პირდაპირ ეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის საკუთრების უფლებას, ხოლო სააღსრულებო მოქმედებები ძირითადად ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათისაა. ამ განსხვავების გაუცნობიერებლობამ შეიძლება გამოიწვიოს საკონსტიტუციო უფლებების დარღვევა ან სააღსრულებო პროცესის გაუმართაობა.

თავი 2. იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენების საფუძველი

იძულებითი აღსრულების მექანიზმები წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ნორმების განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობას და სამართლებრივი ურთიერთობების რეალურ რეგულირებას.

იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს კანონიერ და სამართლებრივად დასაბუთებულ ქმედებას, როდესაც არსებობს მყარი სამართლებრივი საფუძველი და სრულად არის დაცული ყველა პროცედურული მოთხოვნა, რაც განპირობებულია იძულებითი ღონისძიებების სპეციფიური ბუნებით და მათი პოტენციური გავლენით ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე. შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს და სისტემატიზებულ იქნეს ის კონკრეტული პირობები და მოთხოვნები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მიიჩნევა იძულებითი ღონისძიება სამართლებრივად დასაბუთებულად და კონსტიტუციურად ლეგიტიმურად.

ამრიგად, იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენება იკავებს ცენტრალურ ადგილს არა მხოლოდ სააღსრულებო პროცესში, არამედ ის წარმოადგენს სამართლებრივი ნორმის ეფექტიანობის გარანტს, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს უნარს, არა მხოლოდ დაამყაროს წესრიგი, არამედ უზრუნველყოს მისი რეალური განხორციელება.

2.1. წინადადების მიცემა მოვალისთვის გადაწყვეტილების შესრულების შესახებ

სააღსრულებო პროცესის საწყის ეტაპს წარმოადგენს მოვალისთვის წინადადების მიცემა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების

თაობაზე, რაც გულისხმობს, რომ იძულებითი აღსრულების დაწყებამდე, სააღსრულებო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესაძლებლობა. კერძოდ, საქართველოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, მოვალს მიეწოდება წინადადება სასამართლო აქტის ნებაყოფლობითი შესრულების თაობაზე, რაც მას აძლევს შესაძლებლობას, განახორციელოს დაკისრებული ვალდებულება იძულებითი ღონისძიებების თავიდან აცილების გზით.

ეს პროცედურა ატარებს არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ დატვირთვას და წარმოადგენს მნიშვნელოვან ბერკეტს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია, აღნიშნული წინადადება იყოს მიწოდებული ადრესატისთვის დროულად და ადეკვატურად – წერილობითი ფორმით, შესაბამისი დოკუმენტაციის მითითებითა და გონივრული ვადის განსაზღვრით. სწორედ ამ პირობების დაცვა განსაზღვრავს ნებაყოფლობითი შესრულების ეტაპის ეფექტიანობას.

კვლევამ გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში, როდესაც აღნიშნული პროცედურული საფეხურის უგულვებელყოფამ გამოიწვია აღსრულების არამართლზომიერი განხორციელება და პირთა უფლებების დარღვევა. მოვალისთვის ნებაყოფლობითი შესრულების შესაძლებლობის მიცემა წარმოადგენს ბალანსის დაცვას სამართლებრივი ეფექტიანობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას შორის.

2.1.1. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი

გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შეუსრულებლობა სერიოზული გამოწვევაა სააღსრულებო სამართალწარმოებაში, რომელიც აზიანებს მართლმსაჯულების ეფექტიანობას და სასამართლოს ავტორიტეტს. ეს პრობლემა შეიძლება წარმოიშვას როგორც ობიექტური მიზეზებით (ეკონომიკური უუნარობა, ჯანმრთელობის პრობლემები), ასევე

სუბიექტური მიზეზებით (მიზანმიმართული უგულბელოება, აქტივების დამალვა).

ნებაყოფლობითი შეუსრულებლობა საფუძვლს ქმნის იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობა მოვალეს 7 დღის ვადას აძლევს ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულებისთვის. ამ ვადის გასვლის შემდგომ იწყება იძულებითი აღსრულება.

აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას სამართლებრივი პროგნოზირებადობა და სამართლიანობის სტანდარტები. ნებაყოფლობითი შეუსრულებლობა საჭიროებს სისტემურ მიდგომას - პროცედურული ეფექტიანობის გაზრდას, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, მხარეთა უფლებების თანაბარ დაცვას, პროპორციულობასა და რაც ყველაზე მთავარია, ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის გაზრდას.

2.2. სააღსრულებო წარმოების მხარის უფლების დაცვა იძულებითი აღსრულების პროცესში

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მოვალს აღსრულების პროცესში არა მხოლოდ ვალდებულებებს, არამედ მრავალმხრივ საპროცესო უფლებებსაც ანიჭებს. ამ უფლებათა კომპლექსი აყალიბებს სამართლებრივი გარანტიების სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს თანასწორობის, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით აღსრულების პროცესის განხორციელებას. ერთ-ერთი არსებითი უფლებაა მორიგების გზით აღსრულების შეწყვეტის შესაძლებლობა. მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ მორიგების შესახებ შეთანხმება, რაც ასახავს იძულებითი მექანიზმის გამოყენების თავიდან აცილების შესაძლებლობას და პროცესის მშვიდობიანი გადაწყვეტის ხელშეწყობას. აღნიშნული გარანტია უზრუნველყოფს არა მხოლოდ მოსარჩელის ინტერესების დაცვას, არამედ მოვალის უფლებების რეალიზებას თანხმობაზე დაფუძნებული სამართალწარმოების გზით.

მიუხედავად იმისა რომ “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონი გარკვეულწილად ითვალისწინებს მოვალის უფლებების დაცვას, კვლევამ გამოავლინა მთელი რიგი პრობლემური საკითხები თანაზომიერებისა და პროპორციულობის ნაწილში. აუცილებელია ბალანსის პოვნა ერთის მხრივ, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და მეორეს მხრივ მართლმსაჯულების შეუფერხებელ აღსრულებას შორის. სწორედ ამგვარი დაბალანსებული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური უფლებების დაცვას, ისე – კანონის უზენაესობის პრინციპის რეალურ გაძლიერებას.

2.3. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების მხოლოდ საკანონმდებლო წესით მოწესრიგება

იძულებითი აღსრულების სისტემის კონსტიტუციურობისა და სამართლებრივი ლეგიტიმაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია იძულებითი ღონისძიებების მხოლოდ იმ საფუძვლით განხორციელება, რომელიც დადგენილია კანონით. აღნიშნული პრინციპი გამორიცხავს აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციულ გადაწყვეტილებებს ისეთ სფეროში, რომელიც პირდაპირ ეხება პიროვნების ფუნდამენტური უფლებების - საკუთრების, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის შეზღუდვას.

მოცემული რეალობა კიდევ უფრო ამძაფრებს იმ პრინციპის მნიშვნელობას, რომლის თანახმადაც, იძულებითი აღსრულების ნებისმიერი ღონისძიება დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ კანონით და არა მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტით. აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნება არა მხოლოდ სამართლებრივ დოქტრინას, არამედ კონსტიტუციური სახელმწიფოს საფუძველს - კანონის უზენაესობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის არაერთ პრეცედენტში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ როდესაც საქმე ეხება ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას, გამოყენებული ნორმა უნდა იყოს საკანონმდებლო, რათა გამოირიცხოს თვითნებური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

2.4. იძულებითი აღსრულების ღონისძიების და აღსასრულებელი მოთხოვნის თანაზომადობა

თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს და მის მიზანს წარმოადგენს, ნებისმიერი იძულებითი ჩარევა სამართლიანად დაბალანსდეს დაცულ იურიდიულ ინტერესებთან. აღნიშნული პრინციპი იძულებითი აღსრულების პროცესში მოითხოვს, რომ არჩეული აღსრულების ღონისძიება იყოს ადეკვატური, აუცილებელი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროპორციული იმ მოთხოვნის მიმართ, რომლის დაკმაყოფილებასაც ემსახურება აღსრულება.

თანაზომიერების პრინციპის სტრუქტურა, როგორც ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან და დოქტრინიდან არის ცნობილი, მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: 1. შესატყვისობა (გონივრული კავშირი მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის); 2. ნაკლები ზიანის ალტერნატივა (აუცილებლობის პრინციპი); 3. მიზნისა და ზიანის ბალანსი (ვიწრო გაგებით პროპორციულობა).

ამ სამ საფეხურიანი ტესტის გარეშე ვერ შეფასდება აღსრულების ღონისძიების კანონიერება. მაგალითად, თუ მცირე ოდენობის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ორგანო უზრუნველყოფს უძრავი ქონების ან ანგარიშების დაყადაღებას, ეს შესაძლოა ჩათვალოს აშკარად არაპროპორციულ ღონისძიებად, რომელიც არღვევს მოვალის უფლებებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიზანშეწონილია კანონში მკაფიოდ გაწერილი ნორმის ჩართვა, რომელიც დაავალდებულებს სააღსრულებო ორგანოს, შეაფასოს ყოველი კონკრეტული ღონისძიების თანაზომიერება: ვალის ოდენობასთან; მოვალის ქონებრივ მდგომარეობასთან და შეაფასოს ის გავლენა, რაც მას შეიძლება ჰქონდეს სხვა კონსტიტუციური უფლებების განხორციელებაზე.

თავი 3. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების სახეები

იძულებითი აღსრულება წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იურიდიულ ინსტრუმენტს მართლმსაჯულების უზრუნველყოფის პროცესში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილი იქნას სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი ვალდებულებების ფაქტობრივი შესრულება, იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე არ ასრულებს მათ ნებაყოფლობით.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა იძლევა იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა კლასიფიცირების შესაძლებლობას მათი სამართლებრივი შინაარსისა და აღსრულების მიზნის მიხედვით. კერძოდ, აღსრულების ღონისძიებები შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის, რაც წინასწარ განსაზღვრავს მათ სამართლებრივ ფორმას, გამოყენების საფუძველს და შესაბამისი სააღსრულებო ორგანოების მოქმედების სპეციფიკას.

პირდაპირი იძულების ღონისძიებები ეფექტურად ახორციელებს აღსასრულებელი აქტის შინაარსის რეალიზაციას თვით მოვალის ნების საწინააღმდეგოდ კი, ხოლო არაპირდაპირი იძულება იქცევა სოციალური ზეწოლის მექანიზმად, რომელიც მოვალეს თავად უბიძგებს კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებისკენ.

იძულებითი აღსრულების პროცესში სწორედ ამ ღონისძიებათა მიზნობრივად შერჩევასა და პრინციპებზე დაფუძნებულ გამოყენებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში.

3.1. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების სახეებად დაყოფის პრაქტიკული მნიშვნელობა

იძულებითი აღსრულების სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანად ფუნქციონირებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ პირდაპირ, არამედ ირიბ (არაპირდაპირ) იძულების

ლონისძიებებს. თანამედროვე სამართლებრივი სისტემების განვითარების კვალდაკვალ, იძულებითი აღსრულება სცდება ტრადიციულ, ქონების რეალურ აღსრულებაზე დაფუძნებულ მიდგომას და სულ უფრო მეტად იყენებს არაპირდაპირ იძულებით მექანიზმებს, რომლებიც ეფუძნება პერსონალური ხასიათის, ქმედით ზეწოლაზე ორიენტირებულ სამართლებრივ ჩარჩოებს.

იძულებითი აღსრულების ღონისძიებები კონცეპტუალურად შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: პირდაპირ ღონისძიებებად, რომლებიც უშუალოდ მიზნად ისახავენ სასამართლო ან სხვა სააღსრულებო აქტის რეალურ და მატერიალურ აღსრულებას (მაგალითად, ქონების დაყადაღება, აქუცქიონის ჩატარება, უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაცია რომელიც განსაზღვრულია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 25 პრიმა), და ირიბ ღონისძიებებად, რომელთა მეშვეობითაც მიზნად არ ისახება უშუალო აღსრულება, არამედ ხორციელდება სამართლებრივი ზეწოლა მოვალის პიროვნებაზე იმგვარად, რომ მან იძულებით, მაგრამ საკუთარი ნების გამოვლენით შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება.

იძულებითი აღსრულების ირიბი ღონისძიებები წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტრუმენტს იძულებითი აღსრულების სისტემაში, რომელიც ხელს უწყობს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ამაღლებასა და სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებას. ამავდროულად, მათი გამოყენება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გათვალისწინებით, რათა იძულებითი აღსრულების სისტემა სრულად პასუხობდეს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს.

3.2. იძულებითი აღსრულების ირიბი ღონისძიებების არსი და მოწესრიგება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია იძულებითი აღსრულების გარკვეული არაპირდაპირი (ირიბი) ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს არა უშუალოდ მოთხოვნის ფაქტობრივ შესრულებას, არამედ მოვალის ქცევაზე ზემოქმედების გზით მის

სტიმულირებას, რათა მან ნებაყოფლობით ან იძულებით უზრუნველყოს სააღსრულებო დოკუმენტით დადგენილი ვალდებულების შესრულება. ირიბი იძულების ღონისძიებების სამართლებრივი კონსტრუქცია ეფუძნება იდეას, რომ მოვალეზე გარკვეული სამართლებრივი ზეწოლის მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია მისი მოტივირება ვალდებულების შესასრულებლად.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებასა და შედარებითი ანალიზს, იძულებითი აღსრულების ირიბი ღონისძიებების სისტემური ანალიზისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და შედარებითი კვლევა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ ქართული სამართლებრივი სისტემის განვითარების პერსპექტივები და გამოვავლინოთ საუკეთესო პრაქტიკა.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ირიბი იძულების ღონისძიებების ეფექტიან და პროპორციულ გამოყენებას. ევროპული სტანდარტები ხაზს უსვამს შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპებს:

სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფას კრედიტორის ინტერესებსა და მოვალის უფლებების დაცვას შორის; გამჭვირვალობისა და პროგნოზირებადობის პრინციპების დაცვას ირიბი იძულების ღონისძიებების გამოყენებისას და სასამართლო კონტროლის მექანიზმების არსებობას ირიბი იძულების ღონისძიებების გამოყენებაზე.

მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე გარანტიების შექმნა, რათა ირიბი იძულების ღონისძიებები არ იქნას გამოყენებული იმ მოვალეების მიმართ, რომელთაც ობიექტურად არ გააჩნიათ ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

მიზანშეწონილია ირიბი იძულების ღონისძიებების ეფექტიანობის პერიოდული შეფასების მექანიზმის შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მათი პრაქტიკული გავლენა და საჭიროების შემთხვევაში მოვახდინოთ მათი მოდიფიცირება.

აუცილებელია, რომ ირიბი იძულების ღონისძიებების გამოყენება ყოველთვის განხორციელდეს პროპორციულობის პრინციპის მკაცრი დაცვით და მოვალის კონსტიტუციური უფლებების გათვალისწინებით,

რაც უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს შორის.

3.3. იძულებითი აღსრულების პირდაპირი ღონისძიებები: პრაქტიკაში მათი გამოყენების პრობლემები და გამოწვევები

იძულებითი აუქციონი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომლის მთავარი ფუნქციაა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და ვალდებულებების იძულებითი აღსრულება. სამართლებრივად ეს პროცესი რეგულირდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 69-75-ე მუხლებითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის N21 „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, რაც განსაზღვრავს იძულებითი აუქციონის ჩატარების პროცედურულ თუ შინაარსობრივ საკითხებს.

პროცედურული თვალსაზრისით, იძულებითი აუქციონი იწყება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო ფურცლის წარმოებაში მიღების შემდეგ. პირველ ეტაპზე ხორციელდება მოვალის ქონების იდენტიფიცირება და დაყადაღება, შემდგომ კი მისი შეფასება და აუქციონზე გატანა. კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ გამოწვევებს იმ ქონებისთვის, რომელიც არ ექვემდებარება აღსრულებას, მაგალითად, საცხოვრებელი მიწიმუშისთვის აუცილებელი ნივთები.

იძულებითი აუქციონის პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა უკავშირდება დისპროპორციას ქონების ღირებულებასა და დავალიანებას შორის.

კვლევამ ცხადყო, რომ იძულებითი აუქციონის ინსტიტუტი საქართველოში საჭიროებს მნიშვნელოვან რეფორმებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბალანსი კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს შორის.

3.4. სეკვესტრი როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი მექანიზმი

სეკვესტრი, რომელიც გულისხმობს ქონების იძულებით მართვას, წარმოადგენს უნიკალურ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის ქონებით სარგებლობის გზით, ისე რომ ქონება რჩება მოვალის საკუთრებაში. აღნიშნული ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, არამედ მოვალის ქონებრივი ინტერესების დაცვასაც, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს მხარეთა ინტერესების ოპტიმალურ დაბალანსებას სამართლებრივ ურთიერთობაში.

სეკვესტრი თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სპეციფიკურ საშუალებას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება უზრუნველყოფის ტრადიციული მექანიზმებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში სეკვესტრის მარეგულირებელი ნორმები გაწერილია, მაინც საჭიროებს დახვეწას და დეტალიზაციას. კვლევის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია სეკვესტრის ეფექტიანობის გაზრდისთვის. პრობლემურია მმართველის დანიშვნის პროცედურის არასაკმარისი რეგლამენტაცია. კანონი ითვალისწინებს მმართველის დანიშვნას, თუმცა არ არეგულირებს მმართველის შერჩევის კრიტერიუმებს, მისი კვალიფიკაციის მოთხოვნებს და დანიშვნის დეტალურ პროცედურას. საჭიროა კანონმდებლობაში განისაზღვროს ქონების მმართველის კვალიფიკაციის მინიმალური მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს სეკვესტრის ეფექტიან განხორციელებას. ამასთან, რეკომენდებულია ქონების მმართველთა სპეციალური რეესტრის შექმნა, რომელშიც შევლენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რაც გაამარტივებს მმართველის შერჩევის პროცესს.

დასკვნა

კვლევის და ანალიზის შედეგად შესაძლებელია შესაბამისი დასკვნების გამოტანა. აღნიშნული დასკვნები შეიძლება ჩამოყალიბდეს ნაშრომის სტრუქტურის გათვალისწინებით. კერძოდ, ნაშრომის პირველი თავის შედეგად წარმოჩინდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებების სამართლებრივი ბუნება. როგორც ქართული კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა იძულებითი აღსრულების ღონისძიების კატეგორია სააღსრულებო წარმოებათა კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის, რაც პრაქტიკაში ქმნის აღნიშნული ღონისძიებების იურიდიული ბუნების უგულვებელყოფის და შესაბამისად იძულებითი აღსრულების სხვადასხვა ღონისძიების არასწორი გამოყენების საფრთხეს. ეს ეხება როგორც სააღსრულებო პრაქტიკას, ისე სასამართლო პრაქტიკას. იძულებითი აღსრულების ღონისძიების გაუმიჯნაობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების და სააღსრულებო მოქმედებებისაგან განაპირობებს სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლებების უხეშ დარღვევას. იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისგან განსხვავებული ბუნებისაა სააღსრულებო მოქმედებები. სააღსრულებო მოქმედება უფრო მეორადი მნიშვნელობის მატარებელია იმ გაგებით, რომ მას მომსახურე ფუნქცია გააჩნია, მისი ფუნქციური დანიშნულება იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენების საფუძვლის შექმნაში მდგომარეობს, რაც გავლენას ახდენს სააღსრულებო პროცედურებზე და რაზეც დამოკიდებულია აღმასრულებლის უფლებამოსილების ფარგლები და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების მართლზომიერება.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული აღმასრულებლის უფლებამოსილება აღსრულების მიმდინარეობისას გამოიყენოს იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიებებიც, გარდა იმისა, რომლებიც კაზუისტიკურად არის ჩამოთვლილი ნორმის დანაწესში, არ შეიძლება გაგებული იქნეს ფართოდ. აღმასრულებლის უფლებამოსილების გაუმართლებელი გაფართოება მის თვითნებობას გამოიწვევს. იმდენად, რამდენადაც იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენება დაკავშირებულია მოვალისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან და ამასთან, საკუთრივ სააღსრულებო კანონმდებლობა საპროცესო

კანონმდებლობაა, აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ იძულებითი აღსრულების ღონისძიების მხოლოდ საკანონმდებლო აქტით განსაზღვრის სავალდებულობას. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განსაზღვრის და ასევე გამოყენების შესაძლებლობის მხოლოდ საკანონმდებლო აქტით დაწესება, სააღსრულებო სამართლის პრინციპად უნდა იქნეს მიჩნეული. სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლებების შემზღუდავი ნორმატიული აქტს არ შეიძლება წარმოადგენდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ამ მოთხოვნის დაცვა ნაკარნახევია სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტით.

ნაშრომის მეორე თავის პრობლემატიკის ანალიზმა აჩვენა, რომ მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიზნით, იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენება გარკვეულწილად შეზღუდულია. შეზღუდვების მიზანია მოვალის სააღსრულებო იმუნიტეტის ცხოვრებაში რეალურად გატარება და ამით მისი უფლებების უზრუნველყოფა.

იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენების ისეთი საფუძვლის ანალიზმა, როგორიც არის ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის გასვლა, აჩვენა, რომ კანონით განსაზღვრული ნებაყოფლობითი აღსრულების ვადა მცირეა, ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირები ამ თვალსაზრისით სხვა სუბიექტებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინაიდან მათ ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის კანონით ეძლევათ 1 თვიანი ვადა, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული სანქცია იძულებითი აღსრულების საფასურის მოვალისათვის 7% -ის ოდენობით დაკისრების შესახებ შეუსაბამოდ მაღალი და ანტიკონსტიტუციურია, რადგან არ ხდება მოვალის ქონებრივი მდგომარეობის, აღსრულების ხელშემშლელი გარემოებების, ნებაყოფლობით აღსრულებისათვის, მოვალის მიერ მიღებული ზომების და სხვა პირობების გათვალისწინება. აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ის ოდენობით აღსრულების საფასურის მოვალისთვის დაკისრება გაუმართლებელი ქონებრივი ტვირთია.

კვლევამ აჩვენა, რომ მოვალის უფლებები იძულებითი აღსრულების პროცესში სხვა ასპექტითაც არაეფექტიანად არის დაცული, მხედველობაშია მორიგების სამართლებრივი შედეგები, რომლებიც სამწუხაროდ შეღავათის სახით არ აისახებიან არც კრედიტორის და არც

მოვალის უფლებებზე. ეს გარემოება კი წარმოადგენს აღსრულების სტადიაზე მხარეთა მორიგების წახალისების დამბრკოლებელ ფაქტორს.

იძლებითი აღსრულების ღონისძიებები პროპორციული უნდა იყოს აღსასრულებელ მოთხოვნასთან მიმართებაში, დაუშვებელია იძულებითი აღსრულების ღონისძიებების და აღსასრულებელი მოთხოვნის ერთმანეთთან თანაზომადობის პრინციპის დარღვევა, რადგან აღნიშნული გამოიწვევს დისბალანსს კრედიტორისა და მოვალის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხში. თანაზომადობის დაცვის კრიტერიუმი უნდა იყოს გამოყენებული იძულებითი აღსრულების ღონისძიების ადეკვატურობა, საჭიროება, და მოცულობა. იძულებითი აღსრულების არათანაზომადი ღონისძიების გამოყენება ემსახურება არა აღსრულების მიზნებს, არამედ იწვევს მოვალის ქონების ექსპროპრიაციას. იმდენად რამდენადაც თანაზომადობის პრინციპის ზუსტი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება შეუძლებელია, მისი დაცვა აღმასრულებლის სრულ დისკრეციას წარმოადგენს, რომლის მართლზომიერების კონტროლი შესაძლებელია სასამართლოს მიერ. აღმასრულებლის მიერ გამოყენებული იძულებითი აღსრულების ღონისძიება შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იყოს ნაკლებ მტკივნეული და მხოლოდ აღსასრულებელ მოთხოვნასთან თანაფარდობაში გამართლებული და მაშასადამე, არ უნდა აჭარბებდეს აღსასრულებელი აქტით ნაგულისხმევ ფარგლებს და არ უნდა აყენებდეს გაუმართლებელ ზიანს მოვალეს.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში ასახული პრობლემების კვლევისას გამოიკვეთა, რომ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია როგორც პირდაპირ, ისე იძულებითი აღსრულების ირიბ ღონისძიებებს. ქართული კანონმდებლობის სერიოზულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს მისი ორიენტირება უპირატესად გადახდევინების მიქცევის საკითხზე, მაშინ როდესაც საჭიროა იძულებითი აღსრულების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ღონისძიებების დაბალანსებულად გამოყენება. ამასთან, ერთიცა და მეორეც არასრულყოფილად არის მოწესრიგებული კანონმდებლობით, რაც აქვეითებს აღსრულების პროცესის ეფექტიანობას. დასახელებული საკითხის შედარებით სამართლებრივი მეთოდის საფუძველზე კვლევისას გამოჩნდა, რომ უცხოურ კანონმდებლობაში, პრიორიტეტივ კი ენიჭება იძულებითი აღსრულების ირიბ ღონისძიებებს, რადგან ეს ინსტიტუტი ეხმარება სოციალური სახელმწიფოს იდეას, ერთი მხრივ, მეორე მხრივ მოვალის გადარჩენას იმგვარად, რომ

უზრუნველყოფილ იქნეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ირიბი ღონისძიებების გამოყენების მიზანი არ არის მოვალეზე პირდაპირი ზემოქმედება, მისი ირიბი იძულება შესაძლებელია სრულიად საკმარისი გამოდგეს აღსრულების მიზნების მისაღწევად. ამასთან, ქართული კანონმდებლობა მწირად განსაზღვრავს ირიბ ღონისძიებათა სახეებს. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გაფართოება შესაძლებელს გახდიდა მხარეთა ინტერესების იმგვარად დაბალანსებას, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში განხორციელდეს იძულებითი აღსრულების პირდაპირი ღონისძიებები, თუმცა ეს არ უნდა განხორციელდეს კრედიტორის ინტერესების გაუმართლებელი შელახვის ხარჯზე და უნდა ემსახურებოდეს კრედიტორის მოთხოვნის შეძლებისდაგვარად ეფექტიან აღსრულებას.

იძულებითი აღსრულების პირდაპირი ღონისძიებების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ღონისძიებათაგან სეკვესტრის გამოყენება შედარებით ნაკლებ მტკივნეულია მოვალისათვის, რის გამოც სეკვესტრი აუქციონის უწყინარ ალტერნატივად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, სეკვესტრის განხორციელების პერიოდი იმდენად მცირეა, რომ აღნიშნული ფაქტორი აქვეითებს აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტიანობას. სეკვესტრის დადგენა შესაძლებელი უნდა იყოს როგორც უძრავ ისე მოძრავ ნივთებზე. სეკვესტრის გამოყენების პრაქტიკა იშვიათია, რაც ამ ინსტიტუტის შესახებ პრაქტიკოსთა ცნობადობის დაბალი ხარისხითაც შეიძლება აიხსნას.

იძულებითი აუქციონის, როგორც აღსრულების პირდაპირი ღონისძიების კვლევამ ცხადყო, რომ აუქციონის პროცედურა მაქსიმალურად არის ორიენტირებული მარტოოდენ კრედიტორის მოთხოვნათა და აღსრულების განმახორციელებელი ორგანოს ხარჯების დაკმაყოფილებაზე. არ არის გათვალისწინებული მოვალის დაცვის მინიმალური სტანდარტიც კი, რაც გამოიხატება როგორც ქონების შეფასების პროცედურებში, ისე ქონების რეალიზაციის პირობებში. საკუთრივ იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენება, მათი კონკრეტული სახის არჩევა მხოლოდ კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული, რაც თითქმის ასიდან ას შემთხვევაში ქონების რეალიზაციის მოთხოვნაში გამოიხატება. მოვალის უფლებები მინიმალურია და ასახვას ჰპოვებს მარტოოდენ მოძრავ ნივთებთან მიმართებაში, კერძოდ, მის შესაძლებლობაში მიუთითოს აღმასრულებელს ნივთების ის სახეობანი, რომლებზეც პირველ რიგში უნდა მიექცეს გადახდევინება. თუმცა ეს წესი არ გამოიყენება იპოთეკის

საგნის აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში, რაც კანონმდებლობის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

გამოტანილი დასკვნების შედეგად შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აღსრულების ქვემდებარე აქტით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები, თუ ეს ღონისძიებები აღსასრულებელი მოთხოვნის თანაზომადია.“

ამავე მუხლის მე-5 პუნქტს მიზანშეწონილია დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი: „აღმასრულებელს უფლება აქვს თავისი შეხედულებით გამოიყენოს საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიება, თუკი კრედიტორის განცხადებით მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შერჩეული იძულებითი აღსრულების ღონისძიება არღვევს თანაზომადობის პრინციპს. ამავდროულად აღმასრულებლის მიერ შერჩეული ღონისძიება უნდა აბალანსებდეს მოვალისა და კრედიტორის უფლებებს.“

სააღსრულებო წარმოების მხარეთა კანონის წინაშე თანასწორობის და თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, ნებაყოფლობითი აღსრულების ვადა 1 თვემდე გაიზარდოს სხვა სუბიექტებისთვისაც, მსგავსად საჯარო სამართლის იურიდიული პირების, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლში.

ცვლილებას საჭიროებს ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესი, ვინაიდან გაუმართლებელია აღსრულების საფასურის 7%-ის ოდენობით დაკისრება მოვალისათვის, რამეთუ აღნიშნული ოდენობით საფასურის მოვალისათვის უპირობოდ დაკისრება, საქმის სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინების გარეშე უმძიმეს ტვირთად აისახება მოვალის ქონებრივ მდგომარეობაზე. აუცილებელია დადგინდეს აღსრულების საფასურის მაქსიმალური ოდენობა, რაც შეიძლება მსჯელობის საგანი გახდეს.

მხარეთა სტიმულირებისათვის მიზანშეწონილია აღსრულების ეტაპზე მორიგებისას გათვალისწინებული იქნეს აღსრულების საფასურისგან მოვალის გათავისუფლება და შესაბამისად, კრედიტორისათვის ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნება.

მიზანშეწონილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-3 პუნქტის შეცვლა იმ მიმართებით, რომ გაიზარდოს სეკვესტრის განხორციელების ვადები. ამასთან სეკვესტრის შემოღება უნდა წარმოადგენდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებას და არა მის დისკრეციას, როგორც ამას ნორმის ამჟამინდელი რედაქცია ითვალისწინებს. ამავე ნორმაში შესაცვლელია ის წესიც, რომლითაც სეკვესტრის განხორციელების აუცილებელ პირობად დაწესებულია სეკვესტრს დასაქვემდებარებელი ქონების ღირებულების 10-ჯერ გადაჭარბება აღსასრულებელ მოთხოვნასთან შედარებით. აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს არა ქონების ღირებულებაზე, არამედ იმაზე, შეუძლია თუ არა ქონებას მართვის შედეგად მოიტანოს შემოსავალი, რომლითაც დაიფარება კრედიტორის მოთხოვნა, თუნდაც არ იყოს დიდი სხვაობა აღსასრულებელი მოთხოვნის მოცულობასა და სეკვესტრს დაქვემდებარებული ქონების ღირებულებას შორის.

გაფართოებას მოითხოვს იძულებითი აღსრულების ირიბი ღონისძიებები, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება, რომლის შემოღებაც აამაღლებდა აღსრულების ეფექტიანობას, შეიძლება იყოს მოვალისათვის საზღვარგარეთ გასვლის აკრძალვა.

გარდა ირიბი ღონისძიებებისა, რეკომენდებულია ალტერნატიული მექანიზმების დანერგვა, როგორიცაა გადახდის განვადება, ქონების ნაწილის რეალიზაცია და ვალის რესტრუქტურიზაცია, რომელშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულებითი რეალიზაციის ნაცვლად.

ცვლილებას საჭიროებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის 2-ე პუნქტის პირველი წინადადება. აღმასრულებელი არ უნდა იყოს დამოკიდებული კრედიტორის მიერ მოთხოვნილი იძულებითი აღსრულების ღონისძიების ამა თუ იმ სახის გამოყენებით. რეკომენდებულია დასახელებულ ნორმას დაემატოს შემდეგი წინადადება: „აღმასრულებელს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს იძულებითი აღსრულების ამა თუ იმ ღონისძიების

გამოყენება, თუკი კრედიტორის მიერ განცხადებით მოთხოვნილი იძულებითი აღსრულების ღონისძიება არღვევს თანაზომადობის პრინციპს“.

იძულებითი აუქციონი უნდა წარმოადგენდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მხოლოდ უკიდურეს ღონისძიებას.

საჭიროა მოვალეთა უფლებების გაძლიერება აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფის გზით, შესაბამისად ცვლილებას მოითხოვს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რომელსაც ბოლოში უნდა დაემატოს შემდეგი სიტყვები: „გარდა მოვალის ქონებაზე აუქციონის დანიშნისა.“

მიზანშეწონილია მინიმალური ფასის პრინციპის შემოღება, რომელიც უზრუნველყოს, რომ ქონება არ გაიყიდება მისი რეალური ღირებულების გარკვეულ პროცენტზე დაბალ ფასად.

ბიბლიოგრაფია

კობახიძე ა. „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბილისი, საქართველოს მაცნე, 2003.

ლილუაშვილი თ. „სამოქალაქო პროცესუალური სამართალი“. II გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2005.

ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. ნაწილი II. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023.

ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცეტიშვილი მ. ახალაძე მ. კუბლაშვილი მ. ქურდაძე გ. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“. წიგნი 1. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022.

ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015.

ქურდაძე შ. ქურდაძე გ. ხუნაშვილი ნ. „სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი“. თბილისი, გამომცემლობა ბონა კაუზა, 2017.

ჰაგენლოხი უ. ალავიძე ბ. ბაქაძური ნ. ბერეკაშვილი დ. გასიტაშვილი ე. თოდუა მ. მესხიშვილი ქ. ქათამაძე პ. ძლიერიშვილი ზ. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები“. (ელ ვერსია). თბილისი, 2020.

ჭანტურია ლ. „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2012.

Andenas M. Hess B. Oberhammer P. „Enforcement Agency Practice in Europe, British Institute of International and Comparative Law“. 2005.

Bento L. "Chapter Mapping the Genetic Code of Provisional Measures: Characteristics and Recent Developments". in C. Baltag (ed.), ICSID Convention after 50 Years. Unsettled Issues, 2016.

Dautaj Y. Gustafsson B. "Provisional Measures in Investor-State Arbitration: States Playing Games in Local Courts by Invoking the Trump Card (Police Powers)". University of Bologna Law Review, 2019.

Draguiev D. „Interim Measures in Cross-Border Civil and Commercial Disputes, Interim Relief Proceedings in International Litigation and Arbitration“. Springer, 2023.

Thomas H. Putzo H. Reichold K. „Zivilprozessordnung (ZPO), Kommenter“. Munchen, C.H. Beck, 2002.

Zöller R. Zivilprozessordnung, 33. Auflage. Dr. Otto Schmidt Verlag, 2020.

Васьковский Е.В. „Учебник гражданского процесса“. издание 2-е переработанное, Москва, Издание Бр. Башмаковых, 1917.

Гальперин М. Л. „исполнительное производство учебник для бакалавриата и магистратуры“. 3-е издание, переработанное и дополненное москва, юрайт, 2017.

Гальперин М. Л. „Исполнительное производство: учебник для вузов“. Москва, Издательство Юрайт, 2023.

Грицай О. В. „К вопросу о мерах принудительного исполнения в исполнительном производстве, Арбитражный и гражданский процесс“. М, 2006.

Парфенчикова А. А. „Меры косвенного принуждения в исполнительном производстве“. Статут, 2017.

Рубаник В. Е. „История государства и права России“ в 3 ч. Часть 1, учебник для академического бакалавриата М, Юрайт, 2018.

The author's style protected



Davit Agmashenebeli University of Georgia

The Problem of Applying Enforcement Measures in Civil Enforcement Proceedings

PhD student **Nana Rostomashvili**

**Autoabstract of the Dissertation Submitted for the Academic Degree of Doctor
of Law**

Scientific Supervisor: **Shalva Qurdadze**

Doctor of Law, Professor

Tbilisi

2025

Contents

Introduction	43
Chapter 1. The Legal Nature of Enforcement Measures	54
1.1. Historical Context and Development.....	54
1.2. The Concept and Legal Nature of Enforcement	54
1.3. Legislative Regulation of Enforcement Measures.....	55
1.4. Distinction Between Enforcement Measures and Interim Measures	56
1.5. Distinction Between Enforcement Measures and Enforcement Actions	57
Chapter 2. Grounds for Applying Enforcement Measures.....	57
2.1. Offering the debtor, the Opportunity to Comply with the Decision	58
2.1.1. Legal Consequences of Voluntary Non-Compliance with a Decision.....	59
2.2. Protection of the Rights of the Party in Enforcement Proceedings	59
2.3. Regulation of Enforcement Measures Solely by Legislative Procedure	60
2.4. Proportionality Between the Enforcement Measure and the Enforceable Claim 60	
Chapter 3. Types of Enforcement Measures	61
3.1. Practical Significance of Classifying Enforcement Measures.....	62
3.2. The Essence and Regulation of Indirect Enforcement Measures in Georgian and Foreign Legislation.....	63
3.3. Direct Enforcement Measures: Problems and Challenges in Practice.....	64
3.4. Sequestration as a Legal Mechanism for Satisfying a Claim.....	64
Conclusion	65
Bibliography	70

Introduction

The system of enforcement measures is a crucial component of the effectiveness of justice and a practical expression of the rule of law. The practical implementation of decisions issued by courts and other competent bodies determines the degree of public trust in the legal system and ensures the stability of relationships arising in both private and public law spheres. The effectiveness of enforcement mechanisms is directly proportional to the state's ability to guarantee legal security and protect legitimate rights.

In modern legal science, the issue of enforcement has gained increasing significance. The intensification of academic interest is driven by the diverse challenges facing contemporary legal systems. Analysis of legal literature reveals that inefficiency in the enforcement process is a complex problem caused by the interaction of multiple factors. Particular attention is paid to factors such as the socio-economic situation, which often limits debtors' ability to fulfill their obligations. Equally important are legislative shortcomings that fail to ensure a balanced protection of the legitimate interests of both creditors and debtors. Academic discourse reveals a fundamental issue: the model of enforcement and its regulatory mechanisms are not adequately conceptualized in national legislation.

The process of protecting a violated or disputed right does not end with the issuance of a court decision. Once a court act enters into legal force, the creditor is entitled to initiate enforcement measures. The guarantees of proper enforcement procedures are integrated into the right to a fair trial, enshrined in both the Constitution of Georgia and the European Convention on Human Rights.

Enforcement of court judgments is regarded as a mandatory condition in both Georgian and European legal spaces. However, it should be noted that the European Convention on Human Rights does not contain an explicit provision regarding the enforcement of final decisions. Nonetheless, the European Court of Human Rights has repeatedly recognized that the right to enforcement is an integral and inseparable part of the "right to a fair trial" under Article 6 of the Convention. Specifically, if state mechanisms fail to ensure the practical execution of a court judgment, then the right to access the court—guaranteed by

Article 6—becomes merely formal. According to the Court's practice, enforcement delays may be acceptable only in exceptional cases and must not undermine the essence of this fundamental right.

The case law of the European Court of Human Rights consistently emphasizes that non-enforcement of a judicial act constitutes a violation of Article 6 of the Convention, as it breaches the principle of effective legal protection.

The enforcement institution is a fundamental part of the legal system. When discussing the concept of a legal state, it is necessary to analyze not only the quality of the normative framework but also the effectiveness of the mechanisms that ensure the practical realization of those norms.

Obligations established by the state or agreed upon by private parties acquire real legal force only if effective enforcement mechanisms exist. Otherwise, normative acts and contractual obligations lose their practical value and remain merely formal declarations. In such circumstances, the proper protection of the rights and legitimate interests of individuals and legal entities becomes impossible.

Therefore, the significance of the enforcement system goes beyond purely legal boundaries and has a substantial impact on the socio-economic sphere. The level of effectiveness of enforcement proceedings is directly reflected in the realization of the principles of a legal state. It also significantly affects the predictability and stability of economic processes, which in turn influence the investment environment and the level of economic activity.

Empirical data confirm the fundamental importance of enforcement mechanisms. Statistical research shows a strong correlation between the efficiency of enforcement procedures and public trust in the judicial system and state enforcement institutions. The more effectively and proportionally the enforcement mechanism functions, the higher the public's trust in the legal system—and vice versa.

Various definitions of enforcement appear in legal literature; however, most emphasize the primary goal of the institution: to ensure the real execution of court decisions and other enforceable documents. Enforcement proceedings are not only a mechanism of coercion but also a means of legal protection, ensuring the realization of participants' rights and the protection of their legitimate

interests. When applying Article 6 of the European Convention, which is focused on strengthening the position of creditors, it is crucial to balance the constitutional rights of debtors and other involved parties—an aspect also underscored in additional recommendations by the Council of Europe.

The protection of human dignity and honor is a constitutionally guaranteed right in Georgia. According to Article 4, Paragraph 2 of the Constitution of Georgia: “The State recognizes and protects universally recognized human rights and freedoms as eternal and supreme human values.” Similar provisions are found in Article 8 of the European Convention on Human Rights.

The development of the enforcement institution is a long historical process closely tied to the evolution of the state and law. While enforcement mechanisms existed in different forms across historical periods, their primary goal—ensuring the practical realization of lawfully rendered decisions—has remained unchanged. Accordingly, the legal architecture for rights protection is based on the synthesis of both national constitutional-legal frameworks and international legal instruments. With the legal enactment of the Constitution of Georgia on August 24, 1995, the state formally recognized the supremacy of international law over domestic legislation, thereby integrating universally accepted international legal principles into Georgia’s legal system as directly applicable law.

The judicial protection of rights and freedoms declared in Article 31 of the Constitution becomes illusory and ineffective if court decisions or acts of other competent bodies issued to restore violated rights are not enforced in a timely and complete manner. Non-enforcement of court decisions presents a substantial constitutional and legal problem, threatening the proper functioning of justice as a state institution.

As such, enforcement law represents a complex legal institution encompassing norms from civil, civil procedural, tax, budgetary, administrative, and other legal fields. Thus, the legal framework regulating enforcement proceedings is not limited to the Law of Georgia on Enforcement Proceedings alone.

This legislative act has undergone numerous amendments since its enactment. While normative perfection is an ideal goal, it is fundamentally important that any attempt to reform enforcement proceedings be aimed at

increasing efficiency and ensuring procedural regulations are transparent and clear.

The essence of enforcement lies in the application of coercive measures against the debtor. These measures form the core of the enforcement mechanism. Unfortunately, this institution remains inadequately regulated at the normative level. An analysis of Georgia's legislation on enforcement proceedings reveals that the current legal framework still fails to provide a clear and comprehensive structure for the enforcement process. For example, Article 17 of the law does not clearly distinguish between enforcement actions and enforcement measures, leading to inconsistent practices and the formalization of enforcement procedures.

It is important to emphasize that the enforcement system has not undergone reform at the level of its substantive foundations—that is, no approach has been established within the current legal system that combines the effectiveness of mechanisms, principles of legal security, and the actual restoration of individual rights. Even today, there are frequent cases in practice where a court decision is formally enforced, yet its substantive goal—restoration of violated rights—is not achieved.

One of the key principles of a legal state is the requirement of legal certainty (Latin: *lex certa*), meaning that legal norms must be clear, unambiguous, and easily understandable. This principle is especially important in enforcement law, as enforcement directly affects a person's property and, at times, other fundamental rights.

Enforcement is primarily focused on the coercive execution of monetary obligations. In such cases, state coercion mechanisms still largely rely on traditional instruments, such as the seizure and sale of the debtor's property. However, comparative analysis shows that many foreign countries successfully use indirect enforcement measures.

In this regard, the proper functioning of mechanisms for enforcing court and other enforceable acts becomes particularly important. On the one hand, these mechanisms must ensure the real achievement of the substantive outcome of the decision; on the other hand, they must impose legally unfavorable consequences for a debtor's failure to comply with the enforcement document.

Accordingly, an effective system of enforcement and enforcement proceedings is an inseparable element of a legal state, ensuring legal security through the institution of judicial enforcement.

The conceptual significance of this idea is underscored by international practice. As Jacques Isnard, President of the International Union of Judicial Officers, stated at the 19th World Congress in 2006: “The existence of the state is impossible without laws, laws without judges, and judicial decisions without enforcement.”

This statement strongly implies that a legal state does not fulfill its function merely by issuing a judicial decision; actual enforcement and the realization of its outcome is the phase where judicial authority transitions into execution and legal norms become a practical reality.

Thus, the effectiveness of enforcement mechanisms is not only a legal but also an institutional and systemic issue. Their proper functioning ensures not only the realization of private interests but also the overall functioning of the legal state.

Therefore, in today's context—where there is a growing demand for tangible results from justice—the identification of shortcomings in the enforcement process, their legal analysis, and the development of a functionally sound model has become particularly urgent.

Relevance and Novelty of the Research - One of the fundamental aspects of the functioning of a legal state is the effective implementation of the enforcement mechanism. In this process, the need to comprehend legal responsibility is of critical importance, which, in turn, requires an understanding of its role within the enforcement proceedings mechanism.

At the present stage, when the development of the legal system and its harmonization with internationally recognized standards is a state priority, an in-depth analysis of the practice of applying enforcement measures gains particular importance.

Scientific research plays a significant role in the development of justice. The issue of applying enforcement measures in civil enforcement proceedings represents one of the most important components of civil procedural law. The scientific study of this matter can lead to important changes, such as the

improvement of legislation or implementation of reforms — especially since the issue of compulsory enforcement has always been, and likely will remain, one of the highest-priority areas in the science of civil procedural law.

The process of enforcement, both on normative and doctrinal levels, requires changes, as enforcement in civil procedural law represents one of the most dynamically developing and practically loaded areas. Despite its significance, the issues of compulsory enforcement are still insufficiently analyzed monographically in Georgian legal science. This fact determines the theoretical and practical importance of the research.

The relevance of the research topic is also conditioned by the lack of a unified approach in enforcement bodies and judicial practice to issues such as compliance with the principle of proportionality in enforcement, particularly in the process of forced sale of property through auction. There are also significant problems in regulating sequestration and the temporary management of property. The norms governing forced property management — sequestration and indirect enforcement measures — are not sufficiently defined.

In addition, the legislation concerning deductions from the debtor's income is incomplete, where the term "income" is not defined for enforcement purposes. The current legislation also lacks provisions defining the property immunity of legal entities.

As mentioned, a significant gap remains regarding the lack of a clear legal definition of the term "income" for enforcement purposes. Furthermore, the legal scope of property immunity for legal entities remains undefined, which gives rise to risks of legal uncertainty.

Moreover, maintaining a balance between the rights of the creditor and the debtor during the enforcement process represents an important legal challenge, which further underscores the relevance of the issue. Despite the topic's significance, the amount of the enforcement fee has not been sufficiently studied. Under the current Georgian legislation, the enforcement fee amounts to 7% of the claim to be enforced, which, based on comparative analysis with international practice, may raise constitutional and legal concerns. For example, the Constitutional Courts of Estonia and Russia have assessed similar fee rates as disproportionate restrictions and have declared them unconstitutional.

It is also necessary to improve the institution of forced management — sequestration. Since the legal enhancement of the sequestration institution represents an important objective in the development of enforcement law, it is particularly relevant to expand the mechanisms of indirect enforcement measures. These are aimed not only at the implementation of direct coercion but also at motivating the debtor to voluntarily fulfill their legal obligations.

As noted, enforcement proceedings, as an object of legal regulation, are undergoing significant transformation both normatively and theoretically. The low rate of factual effectiveness in enforcement highlights the need for the introduction of new enforcement mechanisms, which must be implemented in compliance with the principle of proportionality — a condition that ensures their legal legitimacy and practical effectiveness.

Through the examination of these issues, the identification of legislative and practical shortcomings, and the analysis of best practices from other countries, this research may yield significant theoretical and practical outcomes. It will contribute to the improvement of both civil procedural and enforcement legislation, as well as to the development of judicial practice.

Research Objective -The primary objective of this dissertation is to analyze the enforcement measures currently in force in Georgia. The research aims to identify and assess the effectiveness and essence of the legal norms that regulate the conditions under which enforcement measures are applied.

Based on this objective, the research sets out the following tasks:

1. To review the legal nature of compulsory enforcement and the principles governing the functioning of the enforcement system in Georgia based on current legislation and practice;
2. To identify the mechanisms that enable enforcement bodies to apply compulsory measures against debtors within enforcement proceedings;
3. To analyze the influence of the institution of enforcement measures on achieving the goals and outcomes of enforcement proceedings;
4. To evaluate the effectiveness of compulsory enforcement proceedings in the context of applied enforcement measures and identify existing deficiencies;

5. To develop recommendations for improving Georgian legislation based on an analysis of international and foreign experiences;
6. To comprehend, both theoretically and practically, the nature of enforcement measures from the perspective of the development of civil procedural and enforcement law, contributing to a transparent, fair, and effective enforcement system.

measures from other forms of coercive tools, including the differentiation between direct and indirect enforcement mechanisms. This distinction is necessary to ensure that the actions of enforcement authorities remain within the legal framework and do not exceed permissible legal limits.

The analysis of these issues should be based on the Constitution of Georgia, the European Convention on Human Rights, the Law of Georgia "On Enforcement Proceedings," the Civil Procedure Code, and doctrinal sources. Special attention should be given to fundamental principles such as the principle of proportionality, the principle of legal certainty, and the prioritization of voluntary compliance — all of which are essential for both legislative regulation and the practical activities of enforcement bodies.

Such an approach will contribute not only to improving the legal regulation of enforcement proceedings but also to ensuring the realization of constitutional principles of the rule of law, which, in turn, enhances the effectiveness of the judiciary and strengthens public trust in legal mechanisms.

The issue of legal relationships in enforcement proceedings poses significant scientific and practical challenges that require increased attention and transparency in this area. As a result, the constitutional rights of the parties involved — particularly debtors — will be better protected. Should amendments be introduced into civil and enforcement legislation, they would ensure: the implementation of the constitutional principle of proportionality; the establishment of detailed and comprehensive regulatory mechanisms for compulsory property management (sequestration) and indirect measures; and the optimization of the legal framework for the compulsory collection of income from debtors.

Through the exploration of these problems, the identification of legislative and practical gaps, and the analysis of best practices from other countries, this

research may yield significant theoretical and practical outcomes. It will support the enhancement of both civil procedural and enforcement legislation and contribute to the development of judicial practice.

These legislative changes will foster the harmonization of judicial practice and strengthen legal mechanisms.

The dissertation will examine the principles and core institutions of compulsory enforcement and their roles both in judicial practice and within the legal system. It will also address the problems of enforcement proceedings related to their effectiveness and the development of legal system mechanisms. Special attention will be paid to evaluating the legal constructs currently governing the field. The effectiveness of existing models will be analyzed, and targeted recommendations will be developed to improve the current legislation, ensuring that enforcement mechanisms more adequately reflect the principles of the rule of law and the goals of high-quality justice.

The legal protection process, which begins with the court's recognition of a violated or restricted right, does not end with the issuance of a court decision. In legal reality, hundreds and thousands of creditors who appeal to the courts are forced, even after a judgment becomes final and binding, to seek the actual enforcement of that decision through compulsory means. This process, in turn, implies the involvement of state power to ensure the real execution of obligations.

Enforcement mechanisms should not be understood merely as formal legal instruments; rather, they constitute an integral part of justice, the effectiveness of which determines the actual realization of the right to judicial protection. In this context, it is essential that enforcement procedures comply with the principle of the right to a fair trial, as guaranteed by both the Constitution of Georgia and the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms.

Research Significance - This dissertation addresses the issue of applying enforcement measures in civil enforcement proceedings. It is one of the first academic works to systematically explore the mechanism of compulsory enforcement and to examine the directions of its development, as well as its role in the enforcement process from both procedural and substantive legal perspectives.

